

ლელო

საპარტიალოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 ოქტომბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 192 (9603) შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



სსრ კავშირის ჩამოშორება
კალათბურთში

„დინამო“ ახალ აპკლუაში


კიევი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.) პირველი ტურის შემდეგ კიევის არმიულს „სტროიტელთან“ შედარებით ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ. მაგრამ მეორე ტურისთვის „სტროიტელმა“ ბელოსტინის სახით მეტად საჭირო შეესწავა მიიღო. კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეამდგომლობა და სპორტსმენს მოუხსნა დისკვალიფიკაცია (უფრო სწორად პირობითი შეუცვალა). რაც მთავარია, ბელოსტინის საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში თამაშის ნება დართეს.

კიევიში ორი შეხვედრის ზედიზედ მოგება ძნელი საქმეა, არა და, თბილისის დინამოელებს შორის ტურის მატჩები სწორედ ამ ქალაქში „სტროიტელსა“ და არმიულთან უნდა ჩატარებინათ. „სტროიტელთან“ მატჩის დასაწყისი „დინამოს“ კარგს არაფერს უქადადა. მასპინძლები 11 ქულით დაწინაურდნენ. მაგრამ საღაც ტაიმის შუაში მდგომარეობა გაათანაბრდა, მერე კი დინამოელებმა ნელ-ნელა ხელთ იგდეს ინიციატივა და მდგომარეობა გაათანაბრეს. შესვენებამდე დარჩენილ დროში აქტიურად ითამაშა კალუსტინმა, რომ-

ლის ზუსტი სროლების შემდეგ თბილისელები დაწინაურდნენ და ტაიმი 6 ქულით მოიგეს — 47:41. შეხვედრის მეორე ნახევარში ბრძოლის სადავეები ხელთ იგდო ტიუბინმა. მასპინძლებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — ამ კალათბ-

კლავ-ინფორმაცია
ბუშინ კიევიში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში განმეორებით შეხვედნენ ერთმანეთს ადგილობრივი „სტროიტელისა“ და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 97:96 (85:85, 47:42).

4 ოქტომბერს დაიწყო და 11 ოქტომბერს დამთავრდება ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს და ჯანმრთელობის დაცვის კვირის აღსანიშნავად აღმართეს.
ამ დღეებში თქვენს განკარგულებაში იქნება რესპუბლიკის სტადიონები, დარბაზები, სასურაო აუზები, სხვა სპორტული საგებნო, მოწყობა ტურისტული ლაშქრობები. მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას ადგილზე სელმძღვანელოვან ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები.



პიდეკან დაიხრებოდა...
იხ. მ-4 გვ

ბათუმის მხარის ცხრილი

მდგომარეობა	5 ოქტომბრისთვის
ცხკა	5 5 00 495-890 10
„ჟალა.“ (კაუნ.)	5 5 0 465-401 10
„დინ.“ (თბ.)	5 4 1 489-487 9
ახკ (კიევი)	5 3 2 468-488 8
ვეფ (რიგა)	5 3 2 479-488 8
„სპარტ.“ (ლენ.)	5 2 3 467-444 7
რტი (მინსკი)	5 2 3 459-462 7
„კალევი“ (ტალ.)	5 2 3 485-442 7
„სტრ.“ (კიევი)	5 2 3 446-486 7
„დინ.“ (მოსკ.)	5 1 4 408-486 6
„სტატ.“ (ვილნი.)	5 1 4 419-460 6
„შანტ.“ (დონ.)	5 0 5 858-443 5

გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩის ფინალური მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის
10-10 კაზიანი აპკლით

2 ოქტომბერს, ესპანეთის ქალაქ სევილიაში გამგზავრების წინ, გარი კასპაროვს და ანატოლი კარპოვს მოსკოვში ესაუბრა მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, პრესცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე და რამდენიმე შეკითხვა მისცა მატჩის ორივე მოჭადრაკეს.

— რამდენ პარტიაში გამოვლინდება გამარჯვებული?
— კარპოვი: მატჩს 22 პარტიაში მოვიგებ.
— კასპაროვი: მთავარია, მოვგროვო 12 ან 12,5 ქულა, ჩემთვის პარტიების რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს.
— თქვენ სევილიაში 10-10-კაციანი დელეგაციით მიემგზავრებით, მათ შორის 4-4 მწვრთნელია. მწვრთნელებიდან ვისზე შეაჩერეთ არჩევანი?
— კასპაროვი: დორფმანზე, ნიკიტინზე, დოლბატოვზე და ახმაიოვარაზე.
— კარპოვი: ზაიცევეზე, ლერნერზე, პოდგაეცა და უბილაეზე.
— როდის ჩატარებთ პირველ პრესკონფერენციას სევილიაში?
— კასპაროვი: პირველ პრესკონფერენციას 5 ოქტომბერს ჩავატარებ, ამავე დროს თანახმა ვარ კვირით შევხვედრე ყურნალისტებს და 20 წუთის განმავლობაში ვესაუბრო. ყოველი პარტიის შემდეგ

რათქმა უნდა, თუ პარტია არ წიკავე, ყურნალისტებს 10 წუთს დაეკუთმობ. მატჩის დამთავრების შემდეგ 45-წუთიან პრესკონფერენციას ვაგმართავ.
— კარპოვი: ჩემი დღის წესრიგის შესახებ ვერ ვერაფერს ვიტყვი. ისე კი ვფიქრობ მეც რეგულარულად ვაგმართო შეხვედრები ყურნალისტებთან.
შეკითხვებს შევასწავებ, რომ მატჩი საზეიმოდ გაიხსნება 10 ოქტომბერს. იმავე დღეს მოეწყობა წილისყრა.



კვირას, თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ბეისბოლისტების ამხანაგური შეხვედრების სერიის ბოლო, მეოთხე მატჩი. როგორც ვიუწყებოდით, პირველი მატჩი საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დასრულდა, მეორე და მესამე — ჩეხებმა მოიგეს. ასე რომ, ბოლო შეხვედრის წინ საერთო ანგარიში იყო 2:1 სტრუბრების სასარგებლოდ. საბჭოთა ბეისბოლისტები ეცადნენ, მაგრამ ანგარიში ვერ გაათანაბრეს — გამოცდილებამ თავისი გაიტანა — მეოთხე შეხვედრაშიც ჩეხებმა იმარჯვეს (19:10).

